ქალაქ თბილისის ტერიტორიულ ათვისებასთან დაკავშირებული გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური პრობლემები

გაჩეჩილაძე მარიამი

ელ.ფოსტა: Mariam.Gachechiladze958@ens.tsu.edu.ge;

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

კონკრეტული ტერიტორიის ლანდშაფტების ეკოლოგიურ შეფასებას, ანალიზს და თანამედროვე მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებრივ-სოციალური სისტემების განვითარებისთვის და მდგრადობის დადგენისთვის. ბუნებრივი გარემოს მართვისთვის და სწორი მენეჯმენტისთვის საჭიროა ბუნების კომპონენტებისა და კომპლექსების შესახებ ზუსტი ინფორმაცია, რაც ადამიანს საშუალებას მისცემს სწორად აირჩიოს ახალი დასახლებული ადგილები და კულტურული პეიზაჟები. ამავე დროს, სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებების გაზრდასთან ერთად ადამიანი სულ უფრო მეტ ზეწოლას ახდენს გარემოზე. ამჟამად თბილისის ცალკეული უბნების და შემოგარენის ბუნება ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედებით ინტენსიურ წნეხს განიცდის. ბუნებრივი გარემოს თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები უშუალო კავშირშია ადამიანის ძლიერ და ხშირად, არაგონივრულ ზემოქმედებასთან. ამ პროცესების შედეგად განსახილველი რეგიონის ლანდშაფტები ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას განიცდიან, რაც იწვევს მთელი რიგი ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებას. ქალაქის ეკოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთ არსებით ასპექტად ქალაქის ტერიტორიის ლანდშაფტური დაგეგმარების პრობლება მიიჩნევა. რაც ძირითადად გამოიხატება ურბანიზციის უსისტემო, შეუქცევადი პროცესებით.